ISSN 0132-6015

136
1993/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წისქვილი

№ 2
1993

სატირისა და იუმორის ჟურნალი

ავს თუ ავი არ ვუწოდო,
კარგს საბელად რა დავარქო?

ნახ. ჯ. ლოლუასი

ოემა შ. სიხარულიძისა

— ღმერთო, ისმინე ჩემი ვედრება: ცოლი
აფხაზი მყავს, სიდედრი — რუსი, სიძე — ოსი,



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველის იდეალი

გადის წუთისოფელი
ხან ნელა და ხან ჩქარა;
მწვადი უნდა მიირთვა,
უნდა შესვა ხვანჭკარა!

გვეყოფა!..

ხან მიწისძვრა გვაწიოკებს,
ხან გვიჩნდება ხანძარი,
თავს ვიღუპავთ ქართველები
ხან ნებით და ხან ძალით,
სადაცაა გადაგვიტანს
ეროვნული ხვანცალი.

დაგვლუკავს!..

ენაზე ტყავი გადაძვრათ, —
ესეც ერთგვარი ჰობია;
გადაგვიყოლებს ამდენი
ლაქლაქი, მიტინგობია.

მიზეზი

იმიტომაც წაუვიდა
იმ ბოროტ სულს საქმე შავად, —
იმთავითვე დაშლასა და
გათიშვაზე იმუშავა.

წინამძღოლები

ვისი ტიკი-ტომარებია,
ან რა ჭირი ელანდებათ?!.
გადაქელეს საქართველო
თვითმარქვია ბელადებმა.

1990 წ.

გათელვა

რუსეთს ჩვენი მოდგმა მიწყივ
ტყუილებით უბერნია;
მისთვის რაა საქართველო? —
ორი-სამი გუბერნია!..

თავზარი

გამოცხადდა რეფორმა —
დამემართა მე შოკი! —
რა ვქნა, სად გადავცვალო
ფული — ერთი „მეშოკი"?!

მწერალი და საბაზრო ეკონომიკა

ჩაგესმის ეშმას ხითხითი:
„იკითხე, გინდა წერე,
ხამსასაც რომ ვერ იყიდი,
რა გჭირს, მიხვდები მერე!"

დაბრიყვება

აღარ ვიცით, რა ხდება,
ჩვენი ბოლო ახლოა! —
კომერციად საღდება
ბლეფი, მამაძაღლობა!..

ხელცივი

რაღას თხოულობ საბუთს და ვექსილს
რა საჭიროა მეტი პაროლი?! —
თვითონვე გიმხელს იმანოს ლექსი:
„ვარ აწაპნილი, ვარ მოპარული!"

ზოგიერთი ერთტოვეულის ავტორს

უნდა გითხრა მართალი:
შენი ტომი-ტომარა
არ გამოიცემოდა,
მარიფათი რომ არა!

აშერისტი

დიდი ტირაჟით გავკვაჭე
ჩემი ნაბღაჯნი ბლეფული,
ახლა მლანძღავთ და მაგინეთ,
ბლომად გავიკარ მე ფული!

შეურიგებელი

ერთი კაცი მეუბნება, —
დაბადებით ვარო ანტი,
ამ ქვეყანას შევურიგდე, —
არ არსებობს ვარიანტი!

შეხვედრა სტუდენტობისდროინდელ ამხანაგთან

(დიალოგის ნაწყვეტი)

მე ვინ მაღირსებს საგზურს იალტის,
წყნეთს ან კუმისსაც ვინ მომცემს,
ბელა?!.
ვიცი, რაც უნდა დრო შეტრიალდეს,
ჩემი უფროსი იქნება ყველა!

ემზარ კვიტაიშვილი

— ჩემზე დაბალი რომ იყო, მიგიღებ, თანამშრომელი ზემოდან როგორ უნდა მიყურებდეს.



— შარდი მიგაქვს ანალიზზე?
— არ... ბენზინი ვიყიდე.

ნახ. ჯ. ლოლუასი

— თუ შეიძლება გვიპასუხეთ: თქვენს სოფელს ელექტროენერგია რომ არა აქვს, ეს ხელს უწყობს თუ არა გამრავლებას?

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

თემა შ. სიხარულიძისა

ნახ. ბ. ზუგაშვილისა

● **შარშან**, მსოფლიოში ყველაზე გვიან, გათბობის სეზონი დაიწყო თბილისში.

● **შარშან** თბილისში ჩაიდინეს 5 ათასზე მეტი დანაშაული. ამ დანაშაულთა გახსნაზე მუშაობდა მხოლოდ... 33 გამომძიებელი!

● **შარშან** „მშვიდობიან" თბილისში დამნაშავეთა ხელით დაიღუპა 700-ზე მეტი ახალგაზრდა. ეს ციფრი გაცილებით მეტია აფხაზეთის ომში დაღუპულთა რაოდენობაზე.

● **შარშან**, დეკემბერში, შეჯამდა ი. გოგებაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კონკურსი, რომელიც გამოცხადდა... ორწელიწადნახევრის წინათ. ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი კონკურსი მსოფლიოში.

● **შარშან** საქართველოში მუშაობდა 212 ფასიანი და 21 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი. მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით, ეს საუკეთესო მაჩვენებელია ბლანეტაზე.

● **საქართველოს** პარლამენტი მსოფლიოს ყველა პარლამენტისაგან გამოირჩევა იმით, რომ იგი ყველაზე „ქადაგად დაცემული" პარლამენტია, ამავე დროს ჰყავს რამდენიმე „მუნჯი" დეპუტატი, ხოლო სპიკერი ყველაზე მომთმენი და თავაზიანია.

დონ პედრო

ეროვნული ბიბლიოთეკა



უსიტყვოდ

მინიატიურები

ნული ნულია!

იანვარის თითქმის ნახევარი უქმე დღეები იყო. ჩვენც დავისვენეთ, ჩვენი სიუხვის პატრონს არ გვაქვს დასასვენებლად საქმე, თუ რა?! რა არის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისთვის ნახევარი თვე — არაფერი! ნული გინდა გაყავი და გინდა გაამრავლე, მაინც ნულია!

სალუტი

ახალი წლის მოლოცვა უჩვეულო ზარ-ზეიმით აღინიშნა თბილისის კბილებამდე შეიარაღებულმა ჯანმრთელმა მოსახლეობამ!.. ისროდნენ პისტოლეტებით, ტყვიამფრქვევებით, ავტომატებით, „მუხებით"!.. ცეცხლის ენები სერავდნენ ცას, სახლების ჭერ-კედლებს ზრიალი გაუდიოდა!.. საახალწლო სალუტი თითქმის ნახევარ საათს გაგრძელდა, და, ბოლოს ჩაწყნარდა ბათქი და ქუხილი. დამშვიდდნენ შეშფოთებაატანილი, აწიოკებული ბავშვები, ქალები, მოხუცები და პოლიციელები!..

რაც მართალი მართალია, როგორც ჩანს, მეტად ეფექტურად ტარდება იარაღის ამოღების შესახებ ხელისუფლების არაერთგზისი კატეგორიული მოთხოვნა და მუქარა.

იყო დრო, ერთადერთი კაცი დადიოდა საქართველოში უიარაღო — ნეტარცხონებული მწერალი კონდრატე თათარაშვილი.

ახლაც ასეა, მგონი.

ცრუ ინფარქტი

ამას წინათ თითქმის მთელ მსოფლიოს ელვის სისწრაფით მოედო ცნობა, თითქოს ედუარდ შევარდნაძეს ინფარქტი დამართოდეს!.. მართალია, მარკ ტვენისა არ იყოს, ცნობა ინფარქტის შესახებ „რამდენადმე გაზვიადებული აღმოჩნდა", მაგრამ ისიც ანგარიშგასაწევია, რომ დღევანდელ ჩვენს მდგომარეობაში კაცს იშემია მაინც თუ არა გჭირს, რაღაც საეჭვო მოვლენასთან გვქონია საქმე!..

რუსის არშინი

თუ რუსეთის სამხედრო ვერტმფრენი საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოვარდა — ეს უკანონობაა!

თუ რუსეთის ტერიტორიაზე სამხრეთ კორეის მშვიდობიანი სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოაგდეს — ეს კანონიერია!

ასეთია რუსის არშინი!

კუზ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირაო!

ამას წინათ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნახევარკაცუნა ბორის პასტუხოვიც აჰყვა რუცკოის, ხასბულატოვის, ბაბურინის, გრაჩოვის, კონდრატიევისა და სხვათა ფეხის ხმას და სრულიად უსაფუძვლო გამოხდომა მოაწყო საქართველოს მიმართ.

ვაი, დიდი რუსეთის დიპლომატიას! ვაი, დიდ რუსეთს, ამ ერთი „ვერშოკი" კაცის იმედით თუა დარჩენილი!

ბიძინა პეტრიაშვილი

მასხარას ტვირთი

მეფე გიორგი და უფლისწული ბუბაში ტბაში საბანაოდ ჩავიდნენ. ტანსაცმელი მასხარას ამკიდეს: აქაოდა, მიწაზე დაიხვრეებაო! მეფე-უფლისწული ბანაობდა, მასხარა ნაპირ-ნაპირ ბოლთას სცემდა.

— ერთი შეხედე, — უთხრა მეფე გიორგიმ უფლისწულს, — ჩვენი მასხარა ჯირის ტვირთით დადის!

— ორი ვირის! — შეუსწორა მასხარამ.

მეფე გიორგის სიცილი წასკდა.

რა არ შეუძლია ღმერთს!..

მეფე გიორგი კარგა ხანს გარინდებული იჯდა ტახტზე. დიდებულებიც დუმდნენ. მერე თავი ასწია და იკითხა:

— თუ არის რაიმე ისეთი, რაც მე შემიძლია და ღმერთს — არა?

სიჩუმე არავის დაურღვევია. „ეჰეო, — გაიფიქრა ბევრმა მათგანმა, — ცუდადაა მეფე გიორგის საქმეო!"

— მე მოგახსენებო, — დაარღვია ბოლოს დუმილი მასხარამ, — შენ, მეფეთ მეფეო, შეგიძლია, ვინც გნებავს, ის გააძევო შენი სამფლობელოდან, ღმერთს კი ეს არ ძალუძსო!

— ვითომ რატომაო?! — გაუკვირდა მეფეს.

— ყველგან მისი სამფლობელოა და იმიტომო! — უპასუხა მასხარამ.

დიდებულებმა ტაში დასცხეს. მეფე გიორგის ღიმილმა დაუმშვენა სახე.

ნასადილევს

ერთხელ, ნასადილევს, მეფე გიორგიმ იხმო მასხარა და უთხრა:

— დიდებული საჭმელია კარგად შეკმაზული ლობიო, მაგაზე გემრიელი არა მეგულება-რა! შენ რას იტყვი?

— ჭეშმარიტებას ბრძანებ, მეფევ-ბატონო! — უპასუხა მასხარამ, — ყველაზე მსუყე და გემრიელი რამ გახლავთ ლობიო, კიდეც იმიტომ შეეჭცევა ერი და ბერი, გლები და თავადი!..

მეორეჯერ, ისიც ნასადილევს, კვლავ უხმო მეფემ მასხარას და უკმაყოფილო სახით უთხრა:

— საზიზღარი რამაა ეს ლობიო! ვერ გამიგია, რატომ გიყდებიან მაგ საჭმელზე!

— მართლაც აუტანელია, მეფევ-ბატონო, — დაეთანხმა მასხარა, — მუცლის ბერვა და უძილობა იცის. თავის პატივისმცემელი კაცი მაგას არც მიეკარება!

— კი მაგრამ, ამას წინათ საწინააღმდეგოს არ ამტკიცებდი?! — განცვიფრდა მეფე.

— ამას წინათ, მეფევ-ბატონო, შენც საწინააღმდეგო აზრი გქონდა, მე კი, უნდა მოგახსენო, შენ გემსახურები და არა ლობიოს!

მეფე გიორგის სიცილი აუტყდა.

კიბეზე

ერთხელ მეფე გიორგი და მასხარა სასახლის გრძელ კიბეზე ადიოდნენ ნება-ნება.

თუ კიბისთავამდე ვერ გამაცინებ, თავს წარგკვეთო! — უთხრა მეფემ მასხარას.

რას არ ეცადა, რა არ მოყვა, რა არ იმაიმუნა მასხარამ, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, მეფე გიორგის წარბიც არ შეტოკებია.

დარჩა ბოლო საფეხური.

— მეფეთ მეფეო, — შეჩერდა მასხარა, — გავიქცე ჯალათის მოსაყვანად, თუ თავადვე ინებებთ ჩემი თავის

მეფე გიორგის სიცილი წასკდა.

ვინ რას ფიქრობს

მეფე გიორგი კარგა ხანს ათვალიერებდა შეკრებილ დარბაზს და მერე მოულოდნელი კითხვა დასვა:

— აბა, ვინ მეტყვის, რაზე ფიქრობენ ამჟამად აქ თავმოყრილი დიდებულები სათითაოდ?

დიდებულები სახტად დარჩნენ. ვერავინ გარისკა პასუხის გაცემა. „რაღაცას გვიწყობს მზაკვარი მეფეო", — ფიქრობდნენ. მერე ყველამ იმედის თვალი მიაპყრო მეფის მასხარას.

— მე მოგახსენებთ, მეფეთ მეფეო! ცალ-ცალკე რა საჭიროა, გეტყვით ზუსტად, ყველა ერთად რას ფიქრობს ამჟამად!

— მოგვახსენე! — დაინტერესდა მეფე გიორგი.

— ყველა დიდებულს ამ წუთას ერთი აზრი უტრიალებს თავში: „ღმერთო, შენ აცოცხლე და ადღეგრძელე მეფე გიორგი, ნუ მოაკლებ შენს წყალობას ბალხიხა და ქვეყნის საკეთილდღეოდ! ჩვენ თუნდ ერთ დღეს დავიხოცებით, ოღონდ მეფე გიორგი ბრძანდებოდეს ჯანმრთელი და უვნებელი!" თუ არ გჯერა, შეგიძლია, სათითაოდ გამოკითხო!

მეფეს გაეცინა: აბა, საწინააღმდეგოს რომელი ბრიყვი იტყოდა?

მოიძია **ლერი ჩანტლაძემ**

ემილ კროტკი.

● **სათვალით** იძინებდა, რომ უკეთესად დაენახა სიზმრები.
● **სწორი** კომპასი მუდამ ცალმხრივია.
● **ლომი** ჩიოდა, რომ ლომის წილს მომთვინიერებელი ითვისებდა.
● **ბეწვეულის** მაღაზია მიძინებულ ზოოპარკს ჰგავდა.
● **ბატი** ამტკიცებდა, რომ მისი პაპის პაპის ფრთით წერდა პუშკინი.
● **წიგნმა** ისე გაიტაცა, რომ წიგნი გაიტაცა.
● **პატივს** ვცემთ პოეტებს, რომლებიც ეძებენ, მაგრამ ვაფასებთ იმათ, რომლებიც პოულობენ.
● **რედაქტორი** პოეტი გახლდათ და სხვების ლექსებს მხოლოდ ორ შემთხვევაში არ ბეჭდავდა: თუ არ მოსწონდა, ან თუ ძალიან მოსწონდა.
● **სტუმრები** მანამდე ისხდნენ, სანამ პენსიაზე არ გავიდნენ.
● **პიესაში** და დარბაზში ბევრი ცარიელი ადგილი იყო.
● **დირექტორი** ერთი წუთით გავიდა და დარეკეთ ერთი საათის შემდეგ!
● **თუ** ადამიანი თავის თავს ვერ პოულობს, ვერაფერს უშველის სამისამართო ბიურო.
● **მას** ბედმა გაუღიმა: კიდევ კარგი, რომ „სასწრაფო დახმარება“ დაეჯახა.
● **ჩხუბის** ინიციატივა ეკუთვნოდა ქმარს, გახმოვანება — ცოლს.
● **კოლო** შენს ოთახში იმ ლომზე საშინელია, აფრიკაში რომ არის.
● **ნეგატივებს** და ტალანტებს გამოვლინება სჭირდებათ.
● **ბალეტი** ეწოდება ოპერას ყრუებისათვის.
● **შიბაძე** მზეს: როცა გადიხარ, სინათლე ჩააქრე!
● **დაბადების** ოთხმოცდამეათე წლისთავზე თანამშრომლებმა მუდმივი კალამი მიართვეს.

თარგმნა **ჯემალ ინჯიამ**

— თუ ძმა ხარ, „ვაგონ-რესტორანთან“ მიმიყვანე.

ნახ. მ. აბაშიძისა

თემა ნიაზ დიასამიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარკომანიის პრობლემა აფხაზეთის კონფლიქტზე არა ნაკლებ მწვავედ დგას, ხვალ თუ ზეგ აფხაზეთის ომი დამთავრდება, ნარკომანიის პრობლემა კი შეიძლება ისევ აქტუალური დარჩეს. მის აღმოფხვრას დიდი დრო დასჭირდება.

ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ნახ. ვ. ᲙᲣᲪᲘᲐᲡᲘ

ჟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲜᲘᲐᲜᲒᲘ", № 2 (1676). იანვარი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ᲖᲐᲣᲠ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ. სარედაქციო კოლეგია: მურთაზ აბაშიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ნოშადი ბარდაია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი), გივი ლომიძე, ნოდარ მალაზონია, რევაზ მიშველაძე, გივი პეტრიაშვილი, ალექსანდრე ხაზხოზია, ბეჟან ხიზარულაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე, გენერალური დირექტორი), მიხეილ ქვლივიძე, ლერი ჩანტლაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ალექსი ჭინჭარაული. ტექნიკური რედაქტორი გიორგი დუნდუა. გადაეცა ასაწყობად 11. 02. 93 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 03. 93 წ., ქაღალდის ზომა 60×90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1, საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. შეკვ. № 251, ტირაჟი 22.200. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში, რეგისტრაციის № 0606. რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პრ. № 42, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთავარი რედაქტორის მოადგილის, გენერალური დირექტორის — 93-19-42, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილების გამგეების — 93-10-78, 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69. ინდექსი 76187.

ᲤᲐᲡᲘ 10 ᲛᲐᲜ.

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ